ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და
საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 10

29 ივლისი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

17:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიამ ზაქარიაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

შალვა ოგბაიძე

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

ირაკლი ჭანტურიძე-ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან

მამუკა გოგიტიძე

გია გელოვანი

დოდო გუგეშაშვილი

ირინე ოდიაშვილი

ლეილა არჩაია

როზეტა მოსიძე

ვაჟა ბადაგაძე

დიმიტრი კორძაია

ირინე ქურდაძე

თამაზ გერსამია

ნელი ყურაშვილი

ბელა ყურაშვილი

ოდისეი დიმიტრიადი

გაბრიელ ბარჯაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და ქინძმარაულის შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული სამხედრო ექიმის ლევან მაჭავარიანის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების VIII ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის გენერალ-მაიორის ზურაბ ნაირაშვილი სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების XI ქუჩისთვის გენერალ-მაიორის დავით მაისურაძის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების VII ქუჩისთვის პოლკოვნიკ ჯემალ გოგიტიძის სახელის მინიჭების შესახებ

6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ერეკლე დანელიას სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე ოთხი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ბადრი ჟვანიას, გია ბერუაშვილის, იური დავითაიას, ფირუზ მოსიძის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი # 147 ა კორპუსთან მდებარე უსახელო სკვერისთვის 1992 წელს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გოჩა მორჩილაძის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევში, სერგეი ესენინის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ვაჟა ბანეთიშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;
10. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო პარკისთვის ქართველი შინდლერების სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სულხან ცინცაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოეტისა და მთარგმნელის დავით წერედიანის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, იმერეთის ქუჩის II შესახვევისთვის, იმერეთის I გასასვლელისთვის, იმერეთის II გასასვლელისთვის, იმერეთის IV შესახვევისთვის პოეტის ვაჟიკა ფხოველის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მალხაზ დოლიძის ქუჩის მონაკვეთისთვის, წყნეთის გზატკეცილის შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, უსახელო გასასვლელისთვის და ირაკლი უჩანეიშვილის I ჩიხისთვის, ფილოსოფოსის, მწერლის ჯანსუღ კორძაიას სახელის მინიჭების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ჯურხა ნადირაძის I შესახვევისთვის და მიხეილ შავიშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელის მინიჭების შესახებ.
15. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გუჯარეთის I ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის დავით ხელთუფლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელის მინიჭების შესახებ
17. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვალერი ჩკალოვის ქუჩისთვის ქირურგის, საზოგადო მოღვაწე იან პრიბილის სახელის მინიჭების შესახებ
18. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წინანდლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ძმები ყურაშვილების სახელის მინიჭების შესახებ
19. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ალექსანდრე ალადაშვილის შესახვევისთვის ექიმის, პროფესორის გელა მუხაშავრიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
20. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, გრიგოლ ორბელიანის I ჩიხისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ორი ჩიხისთვის მსახიობის ბარბარე გამრეკელის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

21. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთისთვის, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის მომღერლის ოლღა ბახუტაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
22. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის დირიჟორის ოდისეი დიმიტრიადის სახელის მინიჭების შესახებ
23. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის მოჭიდავის ვანო წამალაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
24. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირთან მდებარე ბაღისთვის წიგნის სახელის მინიჭების შესახებ
25. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მონასტრის სახელის მინიჭების შესახებ
26. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ნაძვების სახელის მინიჭების შესახებ
27. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩის გაგრძელების შესახებ
28. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რევოლუციის შესახვევისთვის ალექსანდრე მანაგაძის VI ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
29. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვასილ ყუშიტაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის უწერას II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
30. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გაიანე ხაჩატურიანის ქუჩის სამი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის თინა ენუქიძის შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ.
31. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩისთვის პეტრე მელიქიშვილის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

1. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და ქინძმარაულის შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს და მოქალაქეებს გააცნო პირველი საკითხი. კომისიაში შემოსულია ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალის gmas.ge-ის ხელმძღვანელის იოსებ ჭონქაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭებას.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. უფროს ლეიტენანტს, ზურაბ იარაჯულს, რომელმაც აფხაზეთის ომის დროს ტყვედ ჩავარდნას გმირული სიკვდილი ამჯობინა. 2013 წლის 19 სექტემბერს, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების დღეს ზურაბ იარაჯულს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა; დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. ტერიტორიაზე, სადაც სახელდება უნდა განხორციელდეს უკვე არსებობს ზურაბ იარაჯულის სახელობის სკოლა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პირველი საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის მონაკვეთს, მასთან არსებულ ჩიხს და ქინძმარაულის შესახვევს მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელი.

2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული სამხედრო ექიმის ლევან მაჭავარიანის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული საკითხის შესახებ. კომისიაში შემოსულია სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს დალი მაჭავარიანს, რომელიც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი

უსახელო ქუჩისთვის შვილის _ აფხაზეთის ომში დაღუპული სამხედრო ექიმის ლევან მაჭავარიანის სახელის მინიჭებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ლევან მაჭავარიანის საბრძოლო მოკვლევა. იგი დაიღუპა საბრძოლო ოპერაციის დროს ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ტამიშთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

როგორც ცნობილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია დუბლირების თავიდან აცილება. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე სამგორისა და საბურთალოს რაიონებში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის სახელთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული სამხედრო ექიმის ლევან მაჭავარიანის სახელი

3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების VIII ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის გენერალ-მაიორის ზურაბ ნაირაშვილი სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების XI ქუჩისთვის გენერალ-მაიორის დავით მაისურაძის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების VII ქუჩისთვის იუსტიციის პოლკოვნიკი ჯემალ გოგიტიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე, მეოთხე და მეხუთე საკითხები. მ/წლის 26 იანვარს კომისიაში შემოსულია ა(ა)იპ საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის, ისტორიის დოქტორის, პროფესორ მამუკა გოგიტიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის უსახელო ქუჩებს მიენიჭოს სამხედრო

მოღვაწეების: იუსტიციის პოლკოვნიკ ჯემალ გოგიტიძის, გენერალ-მაიორის ზურაბ ნაირაშვილის და გენერალ-მაიორის დავით მაისურაძის სახელები.

კომისიამ შეისწავლა სამხედრო მოღვაწეების ბიოგრაფიები. სახელდებისთვის შეირჩა აეროდრომის დასახლებაში მდებარე სამი ქუჩა. ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების და შეთანხმების საფუძველზე, აეროდრომის დასახლებაში (სამგორის რაიონი) გვაქვს სამი ქუჩა.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული სახელდებები და საკითხებს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

აზრი გამოთქვა საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარემ, ისტორიის დოქტორმა, პროფესორ მამუკა გოგიტიძემ. მან მადლობა გადაუხადა კომისიას ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ღვაწლის დაფასებისთვის: „მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, ვის რა ამაგი აქვს ქართული ჯარის მშენებლობის საქმეში." მან მადლობა გადაუხადა კომისიას, რომ მიეცა საშუალება, როგორც სამხედრო საზოგადოების თავმჯდომარეს, დასწრებოდა აღნიშნული საკითხების საჯარო განხილვას. „ქალაქში უნდა არსებობდეს მათი სახელობის ქუჩები. მოხარული ვარ აღნიშნული სახელდებების დადებითად გადაწყვეტისთვის, რადგან გენერლების სახელები უკვე დავიწყებას იყო მიცემული." მამუკა გოგიტიძემ გამოთქვა სურვილი აქტიურად ჩაერთოს სამხედრო მოსამსახურეების სახელების უკვდავყოფის საქმეში.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნოს უფროსმა მამუკა ბალიაშვილმა მზადყოფნა დააფიქსირა ამ მიმართულებით. მან მადლობა გადაუხადა მამუკა გოგიტიძეს და სურვილი გამოთქვა საზოგადოებრივ საწყისებზე მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესში.

,

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხები.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების VII, VIII და XI ქუჩებს მიენიჭოს: იუსტიციის პოლკოვნიკის ჯემალ გოგიტიძის, გენერალ-მაიორის ზურაბ ნაირაშვილის და გენერალ-მაიორის დავით მაისურაძის სახელები.

6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ერეკლე დანელიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, 2021 წლის 5 აპრილს კომისიაში შემოსულია საერთაშორისო ასოციაცია „დაიცავი შენი წილი სამშობლო"-ს თავმჯდომარის, თადარიგის პოლკოვნიკის დარეჯან გუგეშაშვილის #10/032108967-03 წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, ერეკლე დანელიას სახელის მინიჭებას.

გამომდინარე იქიდან, რომ ერეკლე დანელია ცხოვრობდა შერჩეული ქუჩის სიახლოვეს, ნუცუბიძის პლატოზე, კომისიამ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.

აზრი გამოთქვა საზოგადოება „დაიცავი შენი წილი სამშობლოს" დამფუძნებელმა დარეჯან(დოდო) გუგეშაშვილმა. მან ისაუბრა ერეკლე დანელიას შესახებ და აღნიშნა, რომ ახალგაზრდა მებრძოლი გამოირჩეოდა ღირსეული პიროვნული თვისებებით. მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული 18 საბრძოლო ოპერაციაში. 1993 წლის 22 სექტემბერს ჩაიწვა ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავში სხვა მეომრებთან ერთად. ეს იყო თავგანწირვა, რადგან იცოდნენ, რომ არანაირი შანსი არ ჰქონდათ გადარჩენის. დოდო გუგეშაშვილმა მადლობა გადაუხადა კომისას, რომელიც აქტიურად მუშაობს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების სახელების უკვდასაყოფად.

ასევე, კომისიას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ვეტერანების საქმეთა სამსახურის წარმომადგენელმა ირაკლი ჭანტურიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეოთხე საკითხი

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ერეკლე დანელიას სახელი.

7. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე ოთხი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ბადრი ჟვანიას, გია ბერუაშვილის, იური დავითაიას, ფირუზ მოსიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი. მ/წლის 6 აპრილს კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგებლის ბექა მიქაუტაძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს ვალერიან მჭედლიშვილს. იგი ითხოვს ფონიჭალის დასახლებაში, სამხედრო ქალაქში მდებარე უსახელო ქუჩისთვის სახელის მინიჭებას.

2020 წლის 6 ივლისს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ლეილა არჩაიას განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის იური დავითაიას სახელი.

ასევე, 2021 წლის 24 ივნისს შემოვიდა მოქალაქე ლევან ჟვანიას წერილი, სადაც მოთხოვნილია წყნეთის გზატკეცილის ნაწილისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბადრი ჟვანიას სახელის მინიჭება.

2020 წლის 11 დეკემბერს კომისიაში შემოსულია სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ხურციძის

წერილი, რომელიც შუამდგომლობს მოქალაქე მერაბ დუნდუას, თბილისში ერთ-ერთი უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გია ბერუაშვილის სახელის მინიჭებას.

მ/წლის 6 ივნისს კომისიაში შემოსულია როზეტა მოსიძის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ფირუზ მოსიძის სახელი.

რამდენადაც სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიისთვის გახდა ცნობილი, ბადრი ჟვანიას ოჯახს გააჩნია განსხვავებული მოსაზრებები ქუჩასთან დაკავშირებით, დამსწრე საზოგადოებას ნინო ვარდოსანიძემ ქუჩისთვის სახელის ალტერნატივად შესთავაზა ნუგზარ მიხანაშვილის სახელი. განცხადება ნუგზარ მიხანაშვილის ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით არსებობს. 2021 წლის 6 სექტემბერს კომისიაში შემოსულია ვალერიან მჭედლიშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნუგზარ მიხანაშვილის სახელის მინიჭებას. ნუგზარ მიხანაშვილის ოჯახი თანახმაა და ქუჩის სახელდებაც შემოთავაზებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარის განცხადებით მიზანშეწონილია საკითხის კენჭისყრა ჩატარდეს ხსენებული ფორმულირებით და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მოხდეს მისი წარდგენა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და მარნეულის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ახალი განაშენიანებულია.

ზემოხსენებულ ტერიტორიაზე წარმოქმნილია ოთხი ახალი ქუჩა, სადაც კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების სახელების მინიჭება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე ოთხ უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ნუგზარ მიხანაშვილის, გია ბერუაშვილის, იური დავითაიას, ფირუზ მოსიძის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი # 147 ა კორპუსთან მდებარე უსახელო სკვერისთვის 1992 წელს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გოჩა მორჩილაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას განცხადებით მომართეს ბერი გაბრიელ სალოსის #147-ა კორპუსის მაცხოვრებლებმა. ისინი ითხოვენ ხსენებული კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის გოჩა მორჩილაძის სახელის მინიჭებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. გოჩა მორჩილაძე დაიღუპა 1992 წელს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს. იგი ცხოვრობდა სკვერთან არსებულ კორპუსში.

კომისიამ გაითვალისწინა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა და საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მერვე საკითხს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი # 147 ა კორპუსთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს 1992 წელს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გოჩა მორჩილაძის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევში, სერგეი ესენინის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ვაჟა ბანეთიშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიას სოციალური ქსელის საშუალებით მომართა მოქალაქე ლალი ხოდელმა, რომელმაც ითხოვა მისამართის მოწესრიგება ორხევში, სერგეი ესენინის ქუჩასთან.

კომისიამ განიხილა საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სერგეი ესენინის ქუჩის ხსენებული მონაკვეთი რეალურად წარმოადგენს ვაჟა ბანეთიშვილის ქუჩის გეგმარებით გაგრძელებას. ცვლილების შედეგად, ასევე რჩება სერგეი ესენინის ქუჩაც.

კომისიის წერებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეცხრე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ორხევში, სერგეი ესენინის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ვაჟა ბანეთიშვილის ქუჩის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო პარკისთვის ქართველი შინდლერების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი. კომისიაში შემოსულია „ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელის იციკ მოშეს წერილი, რომლითაც ითხოვს სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო პარკს მიენიჭოს ქართველი შინდლერების სახელი.

აღსანიშნავია, რომ არსებულ პარკში დაიდგა ქართველი შინდლერების მემორიალი. საქართველო იმ იშვიათ ქვეყანათა რიცხვშია, სადაც ანტისემიტიზმის არც ერთი გამოვლინება არ ყოფილა. მეტიც, ქართველი და ებრაელი ხალხი ამაყობს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებით. არაერთი ებრაელი საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინეს ქართველმა შინდლერებმა: გრიგოლ ფერაძემ, მიხეილ კედიამ, სერგი მეტრეველმა და საბა კლდიაშვილმა.

მომავალში, ხსენებული პარკი დატანილი იქნება კულტურული მემკვიდრეობის რუკაზე.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო პარკს მიენიჭოს ქართველი შინდლერების სახელი.

11. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სულხან ცინცაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოეტისა და მთარგმნელის დავით წერედიანის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია გამომცემლობა „ინტელექტის“ მთავარი რედაქტორის ზვიად კვარაცხელიას წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს პოეტისა და მთარგმნელის დავით წერედიანის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და სახელდებისთვის შეარჩია სულხან ცინცაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა. აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტი სულ რამდენიმე ათეული მეტრია, თუმცა მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ დედაქალაქში არსებობდეს თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტისა და მთარგმნელის დავით წერედიანის სახელობის ქუჩა. იგი დაჯილდოებულია არაერთი პრემიით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, სულხან ცინცაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს პოეტისა და მთარგმნელის დავით წერედიანის სახელი.

12 ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, იმერეთის ქუჩის II შესახვევისთვის, იმერეთის I გასასვლელისთვის, იმერეთის II გასასვლელისთვის, იმერეთის IV შესახვევისთვის პოეტის ვაჟიკა ფხოველის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიას განსახილველად წარუდგინა შემდეგი საკითხი. კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას წერილი, რომლითაც შუამდგომლობს ვაჟა ბადაგაძეს, რომელიც ითხოვს ისიდორე დოლიძის ქუჩისთვის პოეტის ვაჟიკა ფხოველის სახელის მინიჭებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. როგორც ცნობილია, დედაქალაქში ინტენსიურად მიმდინარეობს დამისამართების პროცესი. ნაძალადევის რაიონის განაშენიანების ისტორიის გათვალისწინებით, გზათა ქსელები ბევრ შემთხვევაში არავითარ ურბანულ ლოგიკაში არ

ჯდება. ხსენებული ცვლილებებით არსებითად გამარტივდება მისამართების მიგნების პროცესი.

აღსანიშნავია, რომ ვაჟიკა ფხოველი იმერეთის ქუჩის მიმდებარედ ცხოვრობდა და კომისიამ სახელდებისას სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა.

აზრი გამოთქვა

განმცხადებელმა ვაჟა ბადაგიძემ. მან ისაუბრა პოეტის შემოქმედების შესახებ. მადლობა გადაუხადა კომისიას საკითხით დაინტერესებისა და დადებითად გადაწყვეტისთვის. დასასრულს კომისიის წევრებს საჩუქრად ვაჟიკა ფხოველის ლექსების კრებული გადასცა.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთორმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, იმერეთის ქუჩის II შესახვევს მიენიჭოს პოეტის ვაჟიკა ფხოველის ქუჩის სახელი, იმერეთის I გასასვლელს მიენიჭოს ვაჟიკა ფხოველის I გასასვლელის სახელი, იმერეთის II გასასვლელს მიენიჭოს ვაჟიკა ფხოველის II გასასვლელის სახელი, ხოლო იმერეთის IV შესახვევს მიენიჭოს ვაჟიკა ფხოველის III გასასვლელის სახელი.

13. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მალხაზ დოლიძის ქუჩის მონაკვეთისთვის, წყნეთის გზატკეცილის შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, უსახელო გასასვლელისთვის და ირაკლი უჩანეიშვილის I ჩიხისთვის, ფილოსოფოსის, მწერლის ჯანსუღ კორძაიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მეცამეტე საკითხის შესახებ. კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას წერილი, რომლითაც შუამდგომლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი შარვაშიძეს, რათა კომისიამ განახორციელოს ვაკის რაიონში უსახელო ქუჩისთვის ფილოსოფოსის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის ჯანსუღ კორძაიას სახელის მინიჭება.

კომისიამ შეისწავლა ჯანსუღ კორძაიას ბიოგრაფია. იგი გახლდათ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, 1998 წელს მიენიჭა ღირსების ორდენი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დედაქალაქში არსებობდეს მისი სახელობის ქუჩა. ტერიტორიაზე, სადაც მოხდება სახელდება, ხორციელდება გეოგმარეზითი ცვლილება და შემდგომში მოხდება თანამედროვე დამისამართება.

კომისიის წევრებმა მოიწონეს აღნიშნული გადაწყვეტილება და საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

აზრი გამოთქვა ჯანსუღ კორძაიას შვილმა, კახაბერ კორძაიამ. მან მადლობა გადაუხადა კომისიას, რომელიც რუდუნებით შეისწავლიდა და ნაბიჯ-ნაბიჯ განიხილავდა აღნიშნულ საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეცამეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი – არცერთი.

თავი შეიკავა – არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, მალხაზ დოლიძის ქუჩის მონაკვეთს, წყნეთის გზატკეცილის შესახვევს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას, უსახელო გასასვლელს და ირაკლი უჩანეიშვილის I ჩიხს მიენიჭოს ფილოსოფოსის, მწერლის ჯანსუღ კორძაიას სახელი.

14. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ჯურხა ნადირაძის I შესახვევისთვის და მიხეილ შავიშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებთან ერთად იმსჯელა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთოთხმეტე საკითხზე. კომისიაში შემოსულია „აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდის“ დირექტორის მარიამ ჭუმბურიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოსის, თბილისის საპატიო მოქალაქის ლევან ალექსიძის სახელი.

კომისიამ შეისწავლა ლევან ალექსიძის ბიოგრაფია. სახელდებისთვის შეირჩა უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მდებარე უსახელო ქუჩა, ვინაიდან ლევან ალექსიძის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი წლები სწორედ უნივერსიტეტს უკავშირდება.

ქალაქგეგმარების შესწავლისას დადგინდა, რომ გზის ძირითადი სამოძრაო ზოლი იწყება უნივერსიტეტის ქუჩიდან და ჯურხა ნადირაძის ქუჩის მცირე მონაკვეთითა და მიხეილ შავიშვილის ქუჩის ასევე მცირე მონაკვეთით სრულდება პეტრე ქავთარაძის ქუჩასთან. ხსენებული მონაკვეთები ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენენ ერთ დამოუკიდებელ ქუჩას და მიზანშეწონილია სახელდება წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

აზრი გამოთქვა დაინტერესებულმა პირმა ირინა ქურდაძემ. იგი წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სამართლის ინსტიტუტს, რომელმაც ისაუბრა ლევან ალექსიძის განსაკუთრებული ღვაწლის შესახებ: „იგი იყო თაობებისთვის დიდი მეცნიერიც, მამაც, გურუც. ბატონი ლევანი ცდილობდა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თაობები აღეზარდა. ის იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, რომელსაც მსოფლიო აღიარებდა, ასევე იყო დიდი პედაგოგიც. მისი ნაშრომები თარგმნილი იყო მსოფლიოში მრავალ ენაზე“. დასასრულს მან მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული სახელდებისთვის, რადგან ეს საკითხი მნიშვნელოვანია არა მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, არამედ მომავალი თაობებისთვისაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეთოთხმეტე საკითხს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, ჯურხა ნადირაძის I შესახვევს და მიხეილ შავიშვილის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელი.

15. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გუჯარეთის I ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის დავით ხელთუფლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო მეთხუმეტე საკითხი. კომისიაში შემოსულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველის, სამართლის დოქტორის, კავკასიის საერთასორისო უნივერსიტეტის პროფესორის მინდია უგრეხელიძის და სამართლის დოქტორის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორის, ბექა ქანთარიას წერილი, რომლითაც ითხოვენ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწე დავით ხელთუფლიშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა დავით ხელთუფლიშვილის ბიოგრაფია. მისი ღვაწლი ფასდაუდებელია XX საუკუნის დასაწყისის ქართული სამართლის განვითარებაში.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს დავით ხელთუფლიშვილის სახელობის ქუჩა. სახელდებისთვის შერჩეულ იქნა გუჯარეთის I ქუჩა, რომელიც მდებარეობს ისნის რაიონში. ვინაიდან გუჯარეთის სახელით ცნობილია რამდენიმე ქუჩა, კონკრეტულ შემთხვევაში ცვლილება გამართლებულია ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთხუთმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, გუჯარეთის I ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის დავით ხელთუფლიშვილის სახელი.

16. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ მეთექვსმეტე საკითხი განსახილველად წარუდგინა კომისიას. კომისიაში შემოსულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის დავით გურგენიძის, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის სერგო ვარდოსანიძის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის როლანდ კოპალიანის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი სოსიაშვილის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ზურაბ ხონელიძის წერილი, რომლითაც ითხოვენ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ტარიელ ფუტკარაძის სახელი. სახელდების განხორციელების მიზნით კომისიამ უსახელო ქუჩა შეარჩია ნაძალადევის რაიონში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთ კორპუსთან. ვინაიდან ტარიელ ფუტკარაძის ღვაწლი პირდაპირ არის დაკავშირებული საგანმანათლებლო საქმიანობასთან, მიზანშეწონილია ხსენებული უსახელო ქუჩისთვის მისი სახელის მინიჭება.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთექვსმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელი.

17. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვალერი ჩკალოვის ქუჩისთვის ქირურგის, საზოგადო მოღვაწე იან პრიბილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯომარემ კომისიის წევრებს განსახილველად წარუდგინა მეთხუთმეტე საკითხი. კომისიაში შემოსულია საქართველოში ჩეხთა სათვისტომოს პრეზიდენტის თამაზ გერსამიას წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ქირურგის, საზოგადო მოღვაწის იან პრიბილის სახელი.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. როგორც აღმოჩნდა, იან პრიბილის სახელი ერქვა ისნის რაიონში დღევანდელ რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩას. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ქუჩას სახელი შეეცვალა. ვალერი ჩკალოვის ქუჩა რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩის პარალელურად მდებარეობს. სახელის ცვლილებით აღდგება ისტორიული სამართლიანობა, ვინაიდან ვალერი ჩკალოვი იყო რუსი მფრინავი, რომელსაც ჩვენს ქვეყანასთან შეხება არ ჰქონია, ხოლო იან პრიბილს, რომელიც ზემოხსენებულ ქუჩაზე ცხოვრობდა, მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართული მედიცინის განვითარებაში. კომისიამ მოიწონა აღნიშნული ინიციატივა და დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

აზრი გამოთქვა დაინტერესებულმა პირმა თამაზ გერსამიამ. მან მადლობა გადაუხადა კომისიას და აღნიშნა, რომ არსებობს სამართლიანობა. 1923 წელს გადაარქვეს ქუჩას სახელი და 100 წლის შემდეგ აღადგინეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ვალერი ჩკალოვის ქუჩას მიენიჭოს ქირურგის, საზოგადო მოღვაწე იან პრიბილის სახელი.

18. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წინანდლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ძმები ყურაშვილების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

კომისიაში შემოსულია საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს რამაზ ხეცურიანის წერილი, რომლითაც საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სახელით ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ძმები ყურაშვილების სახელი.

კომისიამ შეისწავლა ძმები ყურაშვილების ბიოგრაფია. ხუთივე ძმა ფილიმონი, ბორისი, ალექსი, მელენტი და ვიტალი იყვნენ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები და აკადემიკოსები. მათ მინიჭებული ჰქონდათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებები და სახელმწიფოს მიერ დაჯილდოებული იყვნენ სხვადასხვა მედლებითა და ორდენებით. ხუთივე მათგანი მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში და მათ პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.

ქუჩისთვის სახელის შერჩევის მიზნით შეირჩა ისნის რაიონში, საავადმყოფოების ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩა.

კომისიის წევრებმა მოიწონეს გადაწყვეტილება და საკითხს დადებითი შეფასება მისცეს.

აზრი გამოთქვა ვიტალი ყურაშვილის ქალიშვილმა ნელი ყურაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა კომისიას ღვაწლმოსილი ძმების სახელების უკვდავყოფისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთექვსმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, წინანდლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ძმები ყურაშვილების სახელი.

19. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ალექსანდრე ალადაშვილის შესახვევისთვის ექიმის, პროფესორის გელა მუხაშავრიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს მეცხრამეტე საკითხი გააცნო. კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას წერილი, რომლითაც შუამდგომლობს გურჯაანის ქუჩის მაცხოვრებლებს, რათა ქუჩას მიენიჭოს ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის გელა მუხაშავრიას სახელი.

კომისიამ შეისწავლა გელა მუხაშავრიას ბიოგრაფია. გელა მუხაშავრია იყო ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კოლოპროქტოლოგი, საქართველოს კოლოპროქტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი. 2016 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დედაქალაქში არსებობდეს გელა მუხაშავრიას სახელობის ქუჩა. სახელდებისთვის შეირჩა ალექსანდრე ალადაშვილის შესახვევი ისნის რაიონში. აღსანიშნავია, რომ გელა მუხაშავრია სწორედ ხსენებულ უბანში ცხოვრობდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეჩვიდმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში ალექსანდრე ალადაშვილის შესახვევს მიენიჭოს ექიმის, პროფესორის გელა მუხაშავრიას ქუჩის სახელი.

20. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, გრიგოლ ორბელიანის I ჩიხისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ორი ჩიხისთვის მსახიობის ბარბარე გამრეკელის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე თამარ მჭედლიშვილის მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სოფელ გლდანში. ადრე არსებული გრიგოლ ორბელიანის I ჩიხის მიმდებარედ არსებული ტერიტორია განაშენიანებულია და წარმოქმნილი გზათა ქსელი გეგმარდება ერთ დამოუკიდებელ ქუჩად (რომლის ნაწილიც არის გრიგოლ ორბელიანის I ჩიხი) და ორ ჩიხად.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს ბარბარე გამრეკელის სახელობის ქუჩა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისის დამსახურებული მსახიობია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, გრიგოლ ორბელიანის I ჩიხს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას და ორ ჩიხს მიენიჭოს მსახიობის ბარბარე გამრეკელის ქუჩის სახელი.

21. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთისთვის, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის მომღერლის ოლღა ბახუტაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს აცნობა, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, დაინტერესებული პირების მომართვების გარდა, საკუთარი ინიციატივით ახორციელებს იმ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების შერჩევას, რომლებსაც განსაკუთრბული ღვაწლი აქვთ ქართული სახელმწიფოს წინაშე. კომისია ხსენებულ პროცესში გარკვეულ პრიორიტეტს ანიჭებს ქალი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების სახელების შერჩევას. ოლღა ბახუტაშვილის ღვაწლი ნაკლებადაა შეფასებული ქართული საზოგადოების მიერ. იგი მოღვაწეობდა XIX საუკუნის დასაწყისში და განსაკუთრებული როლი ითამაშა ქართული კულტურის განვითარებაში-ქართული ვოკალური სკოლის დაფუძნებაში.
ინფრასტრუქტურული და გეგმარებითი ცვლილებების განხორციელების შემდეგ თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთი და ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩა გეგმარდება დამოუკიდებელ ქუჩად და სამ შესახვევად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეერთე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს:

ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთს, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩას და მასთან არსებულ სამ შესახვევს მიენიჭოს მომღერლის ოლღა ბახუტაშვილის სახელი.

22. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის დირიჟორის ოდისეი დიმიტრიადის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო ოცდამეორე საკითხი. კომისიაში შემოსულია ოდისეი დიმიტრიადის ოჯახის წერილი, რომლითაც ითხოვენ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს დირიჟორის, სახალხო არტისტის ოდისეი დიმიტრიადის სახელი.

ოდისეი დიმიტრიადის ბიოგრაფიიდან გამომდინარე, მისი ღვაწლისა და დამსახურების გათვალისწინებით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს მისი სახელობის ქუჩა.

გეოგრაფიული ობიექტის შერჩევის ეტაპზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია თბილისში, ისნის რაიონში თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთისთვის დირიჟორის სახელის მინიჭება. საკითხის საჯარო განხილვის ეტაპზე ოდისეი დიმიტრიადის ოჯახის წარმომადგენელთა მხრიდან გაჟღერდა მოსაზრება, რომ ისნის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს ქუჩა კახეთის შესახვევის სახელწოდებით და მათი სურვილი იყო ხსენებულ ობიექტს მინიჭებოდა ოდისეი დიმიტრიადის სახელი.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრებმა იმსჯელეს ხსენებულ ობიექტთან დაკავშირებით. როგორც დადგინდა შესახვევი ისნის რაიონში არსებობს ძირითადი ქუჩიდან დამოუკიდებლად, სახელდების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად კი შესახვევი უნდა არსებობდეს კონკრეტულ ძირითად ქუჩასთან და უნდა ატარებდეს მის სახელს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს:

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, კახეთის შესახვევისთვის დირიჟორის ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის სახელის მინიჭება.

23. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის მოჭიდავის ვანო წამალაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო ოცდამესამე საკითხი. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე გიორგი გვიდიანის მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

2020 წლის 7 აგვისტოს კომისიაში შემოსულია მოქალაქე გაბრიელ ბარჯაძის წერილი, რომელიც ითხოვს გლდანის რაიონში ერთ-ერთი ქუჩისთვის მოჭიდავის ვანო წამალაშვილის სახელის მინიჭებას.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხები და ვანო წამალაშვილის ბიოგრაფია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისი თაოსნობით 1925 წლიდან შემოიღეს წონით კატეგორიებად დაყოფა და განისაზღვრა ორთაბრძოლების ხანგრძლივობა. იგი თავად ზრდიდა ქართული ჭიდაობის ოსტატებს. ვანო წამალაშვილი დაიბადა და გაიზარდა გლდანში, შესაბამისად ზემოხსენებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩასთან მიენიჭება მისი სახელი.

უსახელო ქუჩასთან განვითარებულია ორი შესახვევი.

კომისიამ დადებითად გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი.

აზრი გამოთქვა დაინტერესებულმა პირმა გაბრიელ ბარჯაძემ. მან ისაუბრა ვანო წამალაშვილის დამსახურების შესახებ ქართული ჭიდაობის სახის შენარჩუნებაში. მისი თქმით, იგი იყო ნიკო კეცხოველის მეგობარი, მისი ფსევდონიმი იყო „პატარა გლდანელი". სწორედ ვანო წამალაშვილის დამსახურებაა, რომ ქართულ ჭიდაობას მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. მისი დამსახურებაა ასევე ქართულ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების შემოღება, რადგან ადრე ფალავნებს შეჯიბრებისთვის არჩევდნენ ე. წ. თვალის ზომით. მან შემოიღო რეგლამენტი. დასასრულს გაბრიელ ბარჯაძემ მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული სახელდების განხორციელებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამესამე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს მოჭიდავის ვანო წამალაშვილის სახელი.

24. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირთან მდებარე ბაღისთვის წიგნის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებთან ერთად იმსჯელა დღის წესრიგით წარმოდგენილი ოცდამეოთხე საკითხის შესახებ. კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგებლის წერილი, რომლითაც ითხოვს ალექსანდრე ყაზბეგის 9-ში მდებარე ახლად რეაბილიტირებული სკვერისთვის „წიგნის“ სახელის მინიჭებას.

კომისიის მიერ მოხდა სკვერის ადგილზე დათვალიერება. არაჩვეულებრივი სივრცე, რომლის დიზაინიც წიგნის თემატიკითაა გადაწყვეტილი, წიგნის პოპულარიზაციის მიზნით მნიშვნელოვანი პროექტია.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირთან მდებარე ბაღს მიენიჭოს წიგნის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა ოცდამეოთხე საკითხს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირთან მდებარე ბაღს მიენიჭოს წიგნის სახელი.

25. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მონასტრის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხზე. როგორც ცნობილია, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩას და მის მიმდებარე ტერიტორიას მონასტრის უბნის სახელით მოიხსენიებდნენ, რადგან აქ მდებარეობს მამათა მონასტერი. კომისიამ საქმისწარმოების პროცესში გაითვალისწინა ხსენებული გარემოება და ასევე მონასტრის წინამძღოლის მამა აარონის თხოვნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს მონასტრის სახელი.

26. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ნაძვების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებთან ერთად განიხილა ოცდამეექვსე საკითხი. კომისიაში შემოსულია ნაირა ხიზანაშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს დაბა წყნეთში, ნუშის ბაღების ტერიტორიასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. ასევე კომისიაში შემოსულია პაატა ხიზანაშვილის იგივე შინაარსის განცხადება, რომელსაც ხელს ათობით მოქალაქე აწერს.

კომისიის მიერ ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო ქუჩა მართლაც მდებარეობს ნუშის ბაღების მიმდებარე ტერიტორიაზე და განაშენიანების პროცესშია. ვინაიდან, ხსენებულ ტერიტორიაზე გამწვანების დომინირებული სახეობა ნაძვია, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია უსახელო ქუჩისთვის შეირჩეს ზემოაღნიშნული სახელწოდება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ნაძვების სახელი.

27. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეშვიდე საკითხი. მ/წლის 2 მაისს კომისიაში შემოსულია შპს „პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენც"-ის წარმომადგენლის მიხეილ შათაშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩასთან უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას .

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა მითითებული ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მართლაც მდებარეობს კრწანისის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, გაგრძელდეს კრწანისის ქუჩა.

28. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რევოლუციის შესახვევისთვის ალექსანდრე მანაგაძის VI ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა მომდევნო საკითხის შესახებ. კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო

სამსახურის უფროსის გიორგი აბუთიძის წერილი, რომელიც შუამდგომლობს ლელა ქშუტაშვილს. ის ითხოვს რევოლუციის შესახვევის სახელის ცვლილებას.

როგორც ცნობილია, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის #152 განკარგულების თანახმად, გლდანის რაიონში, რევოლუციის ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიანიჭა სპორტსმენის ზარბეგ ბერიაშვილის სახელი. მანამდე, საბჭოთა რევოლუციის აღსანიშნავად, XX საუკუნის 40-იან წლებში ქუჩას რევოლუციის სახელი ერქვა. საქმისწარმოების პროცესში დადგინდა, რომ იგივე ტერიტორიაზე არსებობდა რევოლუციის ქუჩის შესახვევი, რომელსაც გეგმარებითი კავშირი არ ჰქონდა ძირითად ქუჩასთან. მოქალაქე ლელა ქშუტაშვილის მომართვის საფუძველზე განხორციელდა არსებული სიტუაციის კიდევ ერთხელ შეფასება და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ რევოლუციის შესახვევი პარამეტრების გათვალისწინებით უნდა ჩამოყალიბდეს ძირითადი, ალექსანდრე მანაგაძის VI ჩიხად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, რევოლუციის შესახვევს მიენიჭოს ალექსანდრე მანაგაძის VI ჩიხის სახელი.

29. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვასილ ყუშიტაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის უწერას II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა მომდევნო საკითხის შესახებ. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს ვასილ ყუშიტაშვილის ქუჩის საზღვრების დადგენას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. როგორც აღმოჩნდა, ვასილ ყუშიტაშვილის ქუჩა შედგება ორი ერთმანეთთან კავშირის არმქონე მონაკვეთისგან და

წარმოდგენილია, როგორც ორი დამოუკიდებელი ქუჩა, რაც იწვევს ქუჩის სახელის დუბლირებას.

კომისიი წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშულ საკითხს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ვასილ ყუშიტაშვილის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს უწერას II შესახვევის სახელი.

30. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გაიანე ხაჩატურიანის ქუჩის სამი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის თინა ენუქიძის შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ოცდამეათე საკითხი. კომისიაში შემოსულია ზურაბ შაიმმელაშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს გაიანე ხაჩატურიანის ქუჩისთვის სახელის ცვლილებას. ტერიტორიის შესწავლის შემდგომ გაირკვა, რომ გაიანე ხაჩატურიანის შესახვევებზე მთავარი გზით მოხვედრა რეალურად ხორციელდება თინა ენუქიძის ქუჩის მხრიდან. შესაბამისად, მიზანშეწონილია მათი ჩამოყალიბება თინა ენუქიძის ქუჩის შესახვევებად.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაციან გაუწიეს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, გაიანე ხაჩატურიანის ქუჩის სამ შესახვევს და ერთ ჩიხს მიენიჭოს თინა ენუქიძის შესახვევების სახელი.

31. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩისთვის პეტრე მელიქიშვილის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას წერილი, რომელიც გვიგზავნის საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ელისო ბოლქვაძის წერილს, რომლითაც კომიტეტი მხარს უჭერს საქართველოს პარლამენტის დეპუტატის, მწერალ როსტომ ჩხეიძის ინიციატივას, რათა პეტრე მელიქიშვილის ქუჩას მიენიჭოს პეტრე მელიქიშვილის გამზირის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. პეტრე მელიქიშვილის ქუჩა აკმაყოფილებს გამზირის ყველა პარამეტრს. გარდა ამისა, თბილისის მოსახლეობის სრული უმრავლესობა მას გამზირად მოიხსენიებს. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ობიექტის რეაბილიტაციის პროცესის პარალელურად, რომელიც უკვე დაწყებულია, მნიშვნელოვანია მისთვის დამსახურებულად გამზირის სახელწოდების მიკუთვნებაც.

-

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩას მიენიჭოს პეტრე მელიქიშვილის გამზირის სახელი.

საჯარო სხდომაზე განხილული საკითხების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს ინიცირებისთვის წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლევან ჩარკვიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ლევან ჩარკვიანის სახელის მინიჭების შესახებ

3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ევროპის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პირველი მფრინავი ქართველი ქალის ფადიკო გოგიტიძის სახელის მინიჭების შესახებ

4. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ნიკო კვარაცხელიას სახელის მინიჭების შესახებ

5. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2022** წლის **10** ივნისის **#288** განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

6. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ერთი უსახელო ჩიხისთვის ბათლომე ხუციშვილის სახელის მინიჭების შესახებ

7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის სოფიო ყულოშვილის სახელის მინიჭების შესახებ

8. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის იუნკერის, საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ მათიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

9. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა კოხრეიძის ქუჩისთვის სპორტსმენის, მოჭიდავის ვლადიმერ რუბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

10. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გენო ადამიას ქუჩის გაგრძელების შესახებ

11. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მერაბ ნიქაბაძის სახელის მინიჭების შესახებ

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, პირველი საკითხი შეეხება ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევის დამისამართებას.

ასევე უსახელო შესახვევი დამისამართდება ვაკის რაიონში და მიენიჭება ლევან ჩარკვიანის სახელი.

მნიშვნელოვანი სახელდება განხორციელდება სამგორის რაიონში და ევროპის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭება პირველი მფრინავი ქართველი ქალის, ფადიკო გოგიტიძის სახელი, რომელიც 24 წლის ასაკში ერთ-ერთი საცდელი ფრენისას ბათუმის ყოფილი აეროდრომის ტერიტორიაზე დაიღუპა. 2013 წელს ბათუმის აეროპორტის შესასვლელთან გაიხსნა ფადიკო გოგიტიძის ბიუსტი.

ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭება ნიკო კვარაცხელიას სახელი. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ გამოკვლეულ იქნა ნიკო კვარაცხელიას მიერ სიცოცხლის ხანმოკლე პერიოდში რეალიზებული იდეები და ინოვაციური მიდგომები. კონსულტაციები გაიმართა, როგორც საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, ასევე ხსენებული სფეროს სხვა წარმომადგენლებთან.

მეხუთე საკითხის წარდგენისას, კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს აცნობა, რომ აღნიშნული საკითხი შეეხება ტექნიკური შეცდომის გასწორებას 2022 წლის 10 ივნისის # 288 განკარგიულებაში, რის შედეგადაც შეიცვლება პირველ პუნქტში დანართი(რუკა).

მეექვსე და მეშვიდე საკითხები შეეხება ისნის რაიონში ბართლომე ხუციშვილის ქუჩასთან არსებული ჩიხისთვის ბართლომე ხუციშვილის სახელის მინიჭებას და ასევე ბართლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის, სოფიო ყულოშვილის სახელის მინიჭებას.

დამისამართდება მთაწმინდის რაიონში, წავკისში არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა და მასთან არსებული ერთი ჩიხი და მიენიჭება იუნკერის, საზოგადო მოღვაწეის ნიკოლოზ მათიკაშვილის სახელი.

ნაძალადევის რაიონში, შალვა კოხრეიძის ქუჩას მიენიჭება სპორტსმენის, მოჭიდავის ვლადიმერ რუბაშვილის სახელი.

ჩუღურეთის რაიონში გაგრძელდება გენო ადამიას ქუჩა.

დამისამართდება კრწანისის რაიონში მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩა და მიენიჭება აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მერაბ ნიქაბაძის სახელი.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

ნინო ვარდოსანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარ

ნინო ვარდოსანიძე